№1762 2015 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი

ახალგორის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ახალგორის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) ა(ა)იპ – ახალგორის მუნიციპალიტეტის წეროვნის დევნილთა დასახლების სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით;

ბ) წეროვნის დევნილთა დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის ფუნქციონირებისათვის;

გ) წეროვნის დევნილთა დასახლებაში ახალგაზრდული სახლისათვის ინვენტარის შეძენის მიზნით;

დ) წეროვნის, წილკნისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში გარე განათების სისტემის ფუნქციონირებისათვის;

ე) წილკნისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვის მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**